საქართველოს პარლამენტის

დადგენილება

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის“ „ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობაში მოქალაქეთა მიერ მონაწილეობის მიღების უფლების თაობაზე“ დამატებითი ოქმის რატიფიცირების შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. რატიფიცირებულ იქნეს „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის“ „ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობაში მოქალაქეთა მიერ მონაწილეობის მიღების უფლების თაობაზე“ უტრეხტის 2009 წლის 16 ნოემბრის დამატებითი ოქმი.
2. საქართველო აცხადებს, რომ რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის შედეგად აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და ცხინვალის რეგიონის დროებითი ოკუპაციის პერიოდში, ამ ტერიტორიებზე საქართველოს კონსტიტუციური წესრიგის და ეფექტური კონტროლის სრულ აღდგენამდე, წინამდებარე ოქმით გათვალისწინებული იმ ვალდებულებების გამოყენება და განხორციელება, რომლებიც მიემართება ზემოთ ნახსენებ ოკუპირებულ და საქართველოს მიერ არაკონტროლირებად ტერიტორიებს, არის შეზღუდული და ვერ იქნება აღსრულებული.

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარის მოვალეობის
შემსრულებელი **თამარ ჩუგოშვილი**

თბილისი,

29 მაისი 2019 წ.

N4671-IIს